ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2646106

ნომერი: AR1410413

თარიღი : 03.06.2016

გაცემის თარიღი : 13.06.2016

გაცნობის თარიღი : 13.06.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქ.თბილისი, რ. ლაღიძის #8;

დამკვეთი-განმცხადებელი
- კახაბერ ლომსაძე პ/ნ 01026000195
- შროშის ქ. #6 ბ. #1

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს MEDICOM კოდი: 404963679

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100, 102-ე მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, რ. ლაღიძის N8–ში არსებულ შენობის ფასადზე სარეკლამო აბრების მოწყობის საკითხს. რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ სამსახურის მიერ №2635904 გადაწყვეტილებით გეცნობათ თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაციის განხილვის შედეგად გამოვლენილი ხარვეზი:

- წარმოდგენილი უნდა იქნას არსებული სიტუაციის ამსახველი სრულყოფილი ფოტოფიქსაცია (დათარიღებული).

- წარმოდგენილი უნდა იქნეს ფასადისა და სარეკლამო აბრის ზედაპირის ფართობის პროცენტული გაანგარიშება. გათვალისწინებული უნდა იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14–39 დადგენილებით განსაზღვრული ნორმები, კერძოდ: "საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე (არა)საცხოვრებელი ერთეულის შესაბამისი ფასადის ან/და სახურავის ნაწილის ფართობის 20 %-ს".

ვინაიდან, თქვენს მიერ არ იქნა გათვალისწინებული ხარვეზი, ამ ეტაპზე აღმიშნული საკითხი დარჩება განუხილველი. დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოდგენის და სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზის სრულად შევსების შემდგომ შესაძლებელი იქნება საკითხის განმეორებით განხილვა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.